საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 14 მარტი 1919 წ. მრეწველობისა ქალაქ ქუთაისის, შეკრულია:

ხალხი

ფასი 75 კაპ.

№ 58 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 58

გაზეთი ღირს: 1 თვით 18 მანეთი ცალკე ნომერი ფასობს 75 კაპ. განცხადების ფასი, რომელიც ბირველ გვერდზე, ასე მეოთხეზე, ბეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სჩქარი განცხადება უნდა მოტანილ იქნას ორი უგვიანეს დილის 12 საათისა. დაუწერელი წერილები არ ინახვ ებიან. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან კერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კიბრუნებს.

ბოდის მიწერ-მოწერაში [illegible] ხელ უნდა გამოიგზავნოს: [illegible] № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. სხვა ადრესით გამოგზავნილ წერილს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მიღებაა: [illegible] 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პრეტენტი № 24.

ტელეფონი 16—62.

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა მატრონა, და ნარო სარიშვილისა, ძმები ტიტიკო და ილიკო გუჯაბიძეები, მამიდები მარინე გუჯაბიძე და ალექსანდრა გურგენაძისა თაკისი შვილებით და ბიძა რომანოზ მეგრელიძე შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მძიმე ჭრილობისაგან, რომელიც მიიღო ეკატერინოფელდში 19 დეკემბრის სომხებთან ომის დროს, ფრონტზე 9 მარტს სახალხო გვარდიელი არტილერისტი

კლავტონ გუჯაბიძე

გამოსვენება მოხდება აღნიშნულ საავადმყოფოდან სამშაბათს, 11 მარტს, დილის 8 საათზე თფილისის სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ მატარებლით თავის სამშობლოში. დაკრძალვა მოხდება 13 მარტს, (ხუთშაბათს) შუადღის 2 საათზე ლაბა სოფელში. (3—3)

ევტიხი, თამარი შვილი ავთანდილი, დედა ანნა, მამა ესე და დი მარიამ ვადაჭკორიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ათ მარტს ქალ. თფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და უძვირფასესი ნათელი

გრიშა (გრიგოლ) სიმონის ძე კოგბიძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ლისინის შესახვევი, № 4, (2—2)

ცოლი ნატალია, შვილები ნინა, სევასტიანე, თამარა და ქეთევანი ვუუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქმარი პირველის და მამა მეორეებისა

გრიგორი (გიგო) სვიმონის ძე დიდიძე

დაკრძალვა მოხდება პარასკევს 14 მარტს სოფ. საყულიაში (ქუთ. გუბ.)

თავზარდაცემული შობლები: მამა ანდრია, დედა ნინო, ძმები: ვანო და მიშა, დები: შუშანიკა, მართა, პელაგია და რძალი მარო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

პაპუა ანდრიას ასული გეგეჭკორი

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 13 მარტს სოფ. ჯვარცხმაში (აჭარა).

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: ოლგა, ანა, ალექსანდრა, ალექსანდრა, ელისაბედ და ივანე ცოცანაშვილები, ძმა სამსონ, რძალი ელენე შვილებით, დები, სოფიო, თეო და ეფროსინე, სიძეები: ბიძოლომე კალანდარიშვილი და კოზია მაზარაძე, ნათესავი მაკარი მაზარაძე—მეუღლე ანეტა ტუსკას ასული, შვილები: ალექსანდრე და ნინა ვაცნობებთ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ რკინის გზის საავადმყოფოში 11 მარტს 12 საათზე გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიორგი ივანეს ძე ცოცანაშვილი

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—1

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: დედა ეკატერინა, ცოლი თამარა, შვილი გრიშა, ძმა გიორგი, დები მარო და სატაშა, სიძენი: ბერასიმე ანდღულაძე და ხარიტონ მაზარაძე, დეიდა ესმა, დეიდაშვილები: ნარო და ნატაშა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 12 მარტს სამხედრო საავადმყოფოში გარდაიცვალა მტრის მიერ ვერაგულად დაჭრილი

დათიკო ფარნაოზის ძე მგელაძე

დასაფლავება მოხდება კვირას 13 მარტს, ცხედარს გამოასვენებენ სამხედრო საავადმყოფოდან დილის ათ საათზე და დასაფლავებენ პეტრე პავლეს სასაფლაოზე. პატივისმცემლებს ვსთხოვთ მოჰრძანდნენ გოსპიტლის 1 კარებთან. (3—1)

და სალომე, დასაულები: პართენი, ეფლიტა, პარასკევა, ლიუბა ჩ.ხავები, ნადია კალანდაძისა, ბაბაშვილები: ეფროსინე თუთბერიძისა, მართა, პასიკო, ფედო, კალერია წურქაები, დეიდაშვილი კესარია შაჩილავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

მარიამ (ფუთუ) სოსელიავას

გარდაცვალების წლის თავის შესრულების გამო 16 მარტს (ახ. სტ. ძველით 3 მარტს) სოფელ გეჯეთში (სენაკის მაზრა) მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი 12 საათზე. (1—1)

ქართული კლუბის დარგაზში

შაბათს, 15 მარტს, 1919 წ. გაიმართება

დიდი

საღამო-თეამოგა

პირველ ძართულ ლატარიისა. საღამოს შინაარსი.

1. რას ნადამოგდენ: ბეესა 1 მოქ. შალვა დადიანისა. მონაწილეობენ საუკეთესო ქართული მსახიობნი.

2. საკონცერტო განყოფილება: სპანიელის ქალი, ვალო ანაშიძე. ახალგაზრდა ცნობილი მომღერალი ქალი გარდმანი. კომპოზიტორი გარდმანი, ვ. საროჯიშვილი, დანი თარხნიშვილები.

3. გალეტი

ბაეერხაკსის, ელო ანდრობიკაშვილის, ვაკარ ეცის, ყარალიშვილის და საბელსწიფო თეატრის ბალეტის მსახიობთა მონაწილეობით. **დიდი ძალაღონე** მონაწილეობას ღებულობენ ყველა ცნობილი მომღერლები, არტისტები, მოცეკვაკენი, პიუტები, მემუსიკენი. გაბაფუულის დღესასწაული, ექსპრომტები, შარკები, ყვავილები, მრავალი კიოსკები, დუქანი, ქართული ჭიქი. **აუქციონები** ბაერაკულ აუქციონთან გაიყიდება ლატარიის ბილეთები, აუქციონზე გამარჯვებულს ეერგება მთელ შეგროვილ თანხის ლატარიის ბილეთები. **აუქციონი-ხაიდუმლოები.** ვაბშაბი დილამდის, ორკესტრები, საზანდარი, ზურნა, ვაბშის თამადები: გრიგოლ დასამიძე და ბალვა დადიანი. **კონფერანსიე:** პაოლო იაშვილი, რევალთან პროზაროვსკი და სანდრო კარონა.

დასაწყისი საღამის 8 საათზე.

საღამოს დასასრულს: ნინო გაბაშვილისა და მარიამ რამიშვილისა. (2—1)

ახალ სამუშაოზე

დამფუძნებელ კრების გახსნით იწყება ახალი, ფრიად მნიშვნელოვანი და საპასუხოდღეანი მუშაობა საქართველოს დემოკრატიის,

ორი წლის რევოლიუციის ნამოდვილობის, ორი წლის ბრძოლით მოპოვებულს და რეაქციის სასტიკი თავდასხმისაგან გადარჩენილს, დღეს უნდა მოუყაროს თავი დამფუძნებელმა კრებამ და ის მწყობრ, იურიდიულ ფორმებში ჩამოასხას.

ეროვნულ საბჭოს და შემდეგ პარლამენტის მუშაობა ამ მხრივ, მხოლოდ წინამორბედი იყო დამფუძნებელ კრების. იგი მხოლოდ ჰქმნიდა ზოგიერთ ელემენტებს, იმუშავებდა ზოგიერთ ნაკლებს, რომელთა განხორციელებით უნდა მოწესრიგებულიყო ზოგიერთი დარგები ჩვენი ცხოვრებისა. დამფუძნებელ კრებას ხელთ უპყრია უფლება რესპუბლიკის საფუძველის გამაგრების და მის მომავალი სამოქმედო ფარგლების შემოზღუდვის. იგი ამ მხრივ მოითხოვს უფრო მეტ შემოქმედების ძალას, მეტ ცოდნას და გამოცდილებას, ვინემ მისი წინამორბედი საკანონმდებლო თუ რევოლიუციონური დაწესებულებანი.

მართალია, დამფუძნებელ კრებას სხვა მრავალ მოვალეობაც აწევს. მან უნდა განამტკიცოს ფაქტიურათ, რეალურათ ის, რის დაკანონებაც განუზრახავს, მაგრამ ეს მეორე მხარე მისი მუშაობისა მხოლოდ კიდევ უფრო ართულებს და აძნელებს მის მუშაობას.

ამ ძნელი მუშაობის გასაძღოლათ საჭიროა დაუყონებლივ გარკვევა თვით დამფუძნებელ კრების მიზნების და მისი მდგომარეობის.

იგი წარმოშვა ხალხმა—კონსტიტუციის შესაქმნელად, და განსახორციელებლათ. ხალხმა ჩააბარა მას ცხოვრებაში გატარება თავის სუვერენობისა, თავის უფლებებისა.

და ამ მხრით იგი აღჭურვილია ხალხის უფლებებით. იგი, ასე ვთქვათ, ხალხის რწმუნებულია, მისი დავალების ამსრულებელი, მისი ნების მატარებელი.

მეორე მხრით იგი თვით არის წყარო ყოველგვარი უფლებების, იგი არის საათვე, საიდანაც ყველა სხვა ორგანოები და დაწესებულებები იღებენ თავის უფლებებსა და მოვალეობებს.

როგორი უნდა იყოს ასეთ პირობებში დამოკიდებულება დამფუძნებელი კრების—ერთი მხრით თავის რწმუნებლებთან და მეორე მხრით თავის აღმასრულებელ ორგანოებთან. და ჩვენ გვგონია, დამფუძნებელი კრება ვალდებულია თავის ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ხალხის სურვილს შეუთანხმოს და ამა თუ იმ გზით ამ სურვილის დადასტურება მიიღოს.

მეორე მხრით მან უნდა თავის მხედველობის ქვეშ დაიყენოს ამასრულებელი ძალა, ყოველ მხრივ დაუქვემდებაროს, იგი თავის კანტროლს.

დამფუძნებელი კრება ამ შემთხვევაში არ არის მომზადილი რაიმე კონსტიტუციური ნორმებით... მისი კანონი ერთია: მიზანშეწონილობა, მისი უფლების ფარგალი—შესაძლებლობა, ის ქმნის ყოველივეს, რის ძალაც შესწევს.

მაგრამ შესძლებს კი ჩვენი დამფუძნებელი კრება ამ დიდი მისიის დირსეულათ ჩატარებას.

შესძლებს იგი ხალხის წინაშე ანგარიშის გასწორებას და აღმასრულებელი ორგანოების თავის ნებისათვის დამორჩილებას?

ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დღეს ჩვენთვის.

საქართველოს დემოკრატიის ენერგია ჩვენ გვწამს, გვწამს მისი ძალიერება და უნარი შემოქმედებისა. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს პრობლემაც მისი პოლიტიკური გაწვრთნილობის გამო დადებითათ ამ ხალხის სასარგებლოთ გადაჭრება.

დამფუძნებელი კრების გახსნა

დემოკრატიის დიდი ხნის ნატვრა ასრულდა. 12 მარტს სასახლეში, იმ სასახლეში, სადაც ვინ მოსთვლის რამდენი შავი საქმე გაკეთებულა, შემობრძანდა ხალხის უზენაესი უფლება. არე-მარე სადღესასწაულოთ მორთულ-მოკაზმულიყო. ქუჩები ხალხით გაჭედილია. გრილი ნიავი წმიელ დროშებს ეამბორეკიკლუციები, სიამის ნიშტარს სტაციებს და უდარდელი სინელქით ზთა და ბერში უზვათ აპნევს.

არიან დეპუტატები ულკლისათ, მთავრობა სრული შემადგენლობით, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. კრებას ხსნის დეპუტატთა უხუცესი, ცნობილი რევოლიუციონერი, ბრძოლის ველზე გაკეთებული სილიბისტრო ჯიბლაძე.

მის გამოჩენას ტრიბუნაზე დეპუტატები და დამსწრენი ფეხზე ადგომით მზურვალე ტაშით ხვდებიან.

ჩემი ცხოვრების მიწურულში ბედმა მარგუნა ეს უდიდესი ბედნიერება,—იწყებს ის.—და მართლაც, რა დიდი ბედნიერება უნდა იყოს ადამიანისათვის, იმდენი გაეცოცხლების განცდის შემდეგ, რომელიც წილათ ხვდა მოხუც რევოლიციონერს თავის ცხოვრების ეკლიან გზაზე—ბილიკს დაადასტურებს თავის ბრძოლის ნაყოფით. ძნელია ასეთ წუთებში გრძნობის დამორჩილება და ეს გრძნობათა ტალღები თავისუფლათ გორავდენ მის მშვენიერ ყველურ სიტყვაში. ის იგონებს წარსულს, ეხება აწმყოს, ითვალისწინებს მომავალს, მუხლს იყრის თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნის წინაშე ესალმება უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, ესალმება მთავრობას და მის მეგობარ ხალხს, ეს ალმება ბ. ტ. ჯორდანიას, რომლის ხელმძღვანელობა დეპუტატები ფეხზე ადგომით ხანგრძლივ ტაშით ხვდებიან, ბ. ჯორდანია ადგენს ოფიციალურ ანგარიშს, ოფიციალურ ანგარიშს დიდ რევოლიუციას და ათავებს თავის შინაარსიან სიტყვას მოწოდებით—ირჩიონ დამფ. კრების თავმჯდომარე.

სოც.-დემოკრ. ფრაქცია ასახელებს თავმჯდომარეთ კარლო ჩხეიძეს, რომლის ხსენება მხურვალე ტაშის ცემას იწვევს. ის ერთხმად იქნა არჩეული თავმჯდომარეთ. მის უფროს ამხანაგათ ალ. ლომთათიძე, რომელმაც დაიპირა რა თავმჯდომარის ადგილი, შინაარსიანი სიტყვით მიმართა კრებას, ადნიშნა გავლილი ეტაპები და ომედი გამოსთქვა, რომ დამფ. კრება შესძლებს პირნათლად ასრულოს თავის ისტორიული მისია ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ. (ტაშა)

შემდეგ წაკითხულ იქნა 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა დეპუტატებმა და მით ხალხის უზენაესი უფლებით დასტური დასცეს ამ ისტორიულ აქტს.

ამით გათავდა ამ დღეს სხდომა. შემდეგ დაიწყო მიტინგები, **განი.**

სასამართლოს ნაციონალიზაცია

ბევრს ლაპარაკობენ და კიდევ მეტს სწერენ სასამართლოს ნაციონალიზაციაზე.

სხვათა შორის, ამ საკითხის შესახებ ხმა აღიმაღლა თფილისის ადვოკატურამ და ამ გარემოებამ, ეტყობა, ენერგია გაუორკეცა რუსულ „სოციალდემოკრატს“, რომელიც ამ ბოლო დროს ბევრ ეჭვიანობას ამჟღავნებს. ეს ეჭვიანობა ალბათ ამ ბოლოს ბევრ ეჭვიანობას ამჟღავნებ

ᲓᲦᲔᲡ

დამფუძნებელი კრება გახსნა მიხმა უხუცესმა წევრმა ხილ. ჯიბლაძემ. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კ. ჩხეიძე, მის უფროს ამხანაგათ ალ. ლომთათიძე. დეპუტატებმა ხელი მოაწერეს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.

11 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე ხახალხო გვარდია და ჯარი აბასთუმანში შევიდა.

ფოთში 12 მარტს ზღვაში ნაშვებული იქნა ახალი გამანადგურებელი „პატარა კახი“.

— —

გერმანიის საგარეო ფლოტის ჩაძირვის შემდეგ, რომელიც დროებითი ზავის პირობების თანახმად უნდა მოხდეს, მოკავშირენი ხურახთს მიაწვდიან გერმანიას აგვისტომდე.

უკრაინის დელეგაციას ნება დაროეს ბერლინდან პარიზში ჩავიდეს და ბაზავო კონფერენციას გააცნოს უკრაინის მოთხოვნილებანი.

ვერ განმტკიცდებოდა მასსის შეგნებაში, რაკი მას არ ქონდა მატერიალური საზოგადოებრივი საფუძველი ყოველდღიური მოღვაწეობის ინტერნაციონალიზაციაში. ავიღოთ რუსეთის და გერმანიის მაგალითი. დრეზდენის მუშა მიჩვეულია პრაქტიკაზე ყველაფერში, რაც მას შეხება იმოქმედოს ერთად ბერლინის მუშასთან: გადასახადები, საარჩევნო უფლება, მუშათა კანონმდებლობა და სხვ. ყველაფერში ისინი საერთო მიზნისთვის ცხოვრობენ და პრაქტიკულად ყოველ ნაბიჯზე მას ახორციელებენ. ამრიგათ სოლიდარობა აქ თვით ცხოვრებისგან არის ნაკარნახევი და ის შეთვისებული აქვს მუშას საერთო ბრძოლაში და ძალიან რომ მოესურვებია ვილჰელმს, ის ვერ შესძლებდა პრუსიის გამოყენებას საქსონიის წინააღმდეგ, რადგანაც მუშათა კლასი მას არ გაყვებოდა, მაგრამ მან ადვილად შესძლო ეს რუსეთის ან ინგლის საფრანგეთის მიმართ იმიტომ, რომ სოლიდარობას მათ შორის უფრო პლატონიური ხასიათი ქონდა, მას არ ახლავდა პრაქტიკის, ყოველდღიური მოღვაწეობის ინტერნაციონალიზაცია.

გერმანელ ან ინგლისელ მუშებს ჩვენი ბრძოლა რუსეთის აბსოლიუტიზმთან არ მიიჩნდათ თავის საკუთარ საქმედ, თუმც შესაძლებელია კიდეც თანგვიგრძნობდენ ამ ბრძოლაში, ან გვეხმარებოდენ დროგამოშვებით.

ინტერნაციონალური კონგრესები, რომლებიც იკრიბებოდენ ორ წელში ერთხელ, ამ საქმეს, რასაკვირველია, ვერ გამოაკეთებდენ, ისინი უფრო სულიერ საზრდოს იძლეოდენ. საერთო პრაქტიკულ მუშაობას ისინი განზე უდგენ და ეს მათი ბრალი არ იყო, რადგანაც ეკონომიური კარჩაკეტილობა და განკერძოება სახელმწიფოთა არ იძლეოდა საფუძველს საერთო გამოსვლებისათვის განსაზღვრულ პრაქტიკულ მიზნის მისაღწევათ. სამეურნეო განვითარება და კაპიტალისტური შეკავშირების ზრდა სხვადასხვა ქვეყნებს შორის ქმნიან მატერიალურ საფუძველს თვით მუშათა მოძრაობის პრაქტიკის ინტერნაციონალიზაციისათვის, რაში უნდა ვეძიოთ „წამალი“ მომხდარი დამარცხების წინააღმდეგ განყენებული სოლიდარობისა? ზავის ჩამოგდების წინ მთელი რიგი კითხვებია წარმომდგარი, რომლებიც ითხოვენ მუშათა კლასისაგან თვითეული ქვეყნისა გარკვეულ პასუხს.

დაეყრდნობით რა იმ მოვლენებს, რომლებიც იძლევიან საშუალებას ყოველგან ერთსა და იმავე დროს ერთგვარი კომპანია ვაწარმოვოთ, საჭიროა რომ ეს პრაქტიკის ინტერნაციონალიზაცია ისეთი სულის ინტერნაციონალიზაციით უზრუნველეყოთ, რომ სოლიდარობის გაწყვეტა უფრო შეუძლებელი გახდეს, ვინემ ომი ორ მეზობელ გუბერნიებს ან პროვინციებს შორის ერთი და იმავე ქვეყნისა.

ამრიგათ მორიგი ამოცანა, რომელიც სდგას საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, ესაა შექმნა ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც შესძლებს მუშის ყველა კერძო მიზნების ცალკე ქვეყნებში დამორჩილებას ერთი საერთო მიზნისა თვის, როგორიცაა მუშათა კლასის განთავისუფლება კაპიტალიზმის ბრძყალებისაგან. მაგრამ არსებობს კი საამისო იდეური და მატერიალურ საზოგადოებრივი ხასიათის საფუძველი დღეს? ამ კითხვაზე შეგვიძლია უპასუხოთ კი და არა. კი რამდენათ რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც მოდებული აქვთ მთელ რიგს ქვეყნებს, გვაძლევს საფუძველს ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის შესაქმნელათ იმ ხალხების, რომლებიც რევოლიუციის ალში არიან გახვეულნი. ამდაგვარი ტენდენციებს უკვე ვამჩნევთ, უკანასკნელნი ძლიერდებიან და შეიძლება მალე მოშმე გავხდეთ საერთაშორისო იმპერიალიზმის ახალ ბრძოლისა პროლეტარიატის წინააღმდეგ. მაგრამ მეორეს მხრით რამდენათ ძლიერია გამარჯვებულ კოალიციაში ტენდენცია—გამოიყენონ დანარჩენ ქვეყნებს სადამონონ ზღუდეებით, შექმნან თავის საკუთარი ეკონომიური კავშირი და დაუმორჩილონ მას ყველა დანარჩენი ქვეყნები, იმდენათ უნდა უარყოფილი პასუხი გავცეთ კითხვას მატერიალურ-საზოგადოებრივი საფუძვლის არსებობაზე.

დროებითი გარიგების მძიმე პირობები, რომელიც თავს მოაბვიეს გერმანიის დემოკრატიას, მშიერი ბლოკადა, შოვინისტური სულისკვეთების გაძლიერება გამარჯვებულ მხარეში და ძალიან ნელა მიმავალი წინ, საერთაშორისო მუშათა კონფერენციის მოწვევის საქმე გვეუბნება, რომ ვერსალი შესაძლებელია ადვილათ გახდეს მეორე ვენათ.

და მაშინ რევოლიუციონური მოძრაობა გერმანიაში გადაიზრდება მარცხნივ მაქსიმალიზმისაკენ მოკავშირეთა იმპერიალისტურ აგრესსიულ პოლიტიკის ზეგავლენით, სწორეთ ისე, როგორც ამ ორიოდე წლის წინეთ იმავე პოლიტიკამ მოკავშირეებისა რევოლიუციონური რუსეთის მიმართ (გავიხსენოთ საბედისწერო ივნისის შეტევა 1917 წ.) გადაუშვა რუსეთის დემოკრატია მაქსიმალიზმის მორევში.

ვატერლო 1917—18 წლის რევოლიუციისა ახლოა, მაგრამ შორს არ არის 48 წელი.

და როგორც 1848 წ. თებერვლის რევოლიუციაში მუშათა კლასმა თავისი სისხლით პარიზის ქუჩებში დაალბო ლუი ფილიპეს მონარქია, რომელიც თავს მოახვიეს საფრანგეთს ინგლისის ოქროს დახმარებით და რუსეთის და პრუსიის ხიშტების შემწეობით, ისე ახლა საერთაშორისო დემოკრატია და პირველ რიგში საფრანგეთის და ინგლისის მშრომელი კლასები ბურჟუაზიულ იმპერიალისტური ექსპერიმენტების შემდეგ, ჩვენი ღრმა რწმენით დაამხობენ ბურჟუაზიულ რეაქციას.

ამისათვის უნდა ვემზადოთ და მოვამზადოთ მუშათა კლასი.

მ. ციკვაშვილი.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

რუსეთის რევოლიუციის ორი წლის თავი და საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა 12 მარტს ღირსეულად აღნიშნა თფილისის დემოკრატიამ გაწურჩევლად ეროვნებისა.

საზოგადოება, რომელიც სულთათანას არ უგალობებს საერთოდ რევოლიუციის მონაპოვარს და კერძოთ საქართველოს დამოუკიდებლობას, დილადგენ მზ დებას შეუდგა ამ დიდებული დღის პატივსაცემლად.

10 საათიდან სხვადასხვა უბნებიდან ხალხმა დენა იწყო სასახლისაკენ. მოდიოდნენ დროშებით მუშები პროფესიონალურ კავშირთა თუ პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მოსწავლეები—მასწავლებელთა მეთაურობით და სხ.

12 საათზე სწორედ ხალხის ზღვა იყო სასახლის წინ.

უკრავდა რამდენიმე ალაგას სამხედრო მუსიკა, მომღერალთა გუნდი მღეროდა და სხ.

სრულ 12 საათზე საგანგებოდ გადაკეთებულ სასახლის თეთრ დარბაზში გაიხსნა დამფუძნებელი კრება.

კრების გახსნის დროს ყველა ლოჟები დაკავებული იყო დიპლომატიურ წარმომადგენლების, უწყებათა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების და სხვა დაწესებულებების მიერ.

ყველა ადგილები სავსე იყო გარეშე საზოგადოებით.

მენტი დიდი ტაშის ცემით შეხვდა.

ალ. ლომთათიძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

შემდეგი სხდომა დანიშნა პარასკევისათვის. ამ სხდომაზე მთავრობა გაეკეთებს მ ხსენებას თავის წარსული მოქმედების შესახებ.

თავმჯდომარემ წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ ტაშის ცემით მიიღო. შემდეგ ყველა დეპუტატებმა ხელი მოაწერეს ამ აქტს.

სულ გამოცხადდა 99 დეპუტატი. დაბოლოს გადადებულ იქნა სურათები და კრებაც დაიხურა სრულ 2 საათზე.

ამის შემდეგ სასახლის წინ გაიმართა მიტინგები. ილიაპარაკეს ს. ჯიბლაძემ, ნ. რამიშვილმა, ალ. ლომთათიძემ, ვალ. ჯუღელმა და სხვებმა. ალ. ლომთათიძემ მიტინგზე წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც დამსწრენი ცხარე ტაშისცემით შეხვდნენ. ამავე დროს სამხედრო საკრებულო ტაძრის ეზოში გაიმართა ჯარის „პარადი“. „პარადი“ მიიღო მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ. უკრავდა სამხედრო მუსიკა. წარმოითქვა სიტყვები და ჯარს გადაეცა საქართველოს ეროვნული დროშა. „პარადმა“ მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ამის შემდეგ საზოგადოება ნელ-ნელა დაიშალა.

დამით ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. კარგათ იყო მორთული სასახლე, ქალაქის თვითმართველობის შენობა, სახელმწიფო თეატრი და სხ.

აკ. ხ.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გახსნა უხუცეს დეპუტატმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. მდივნობდა ყველაზე უმცროსი დეპუტატი გიორგი ფალავა.

ᲡᲘᲚᲘᲑᲘᲡᲢᲠᲝ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ.

სილიბისტრო ჯიბლაძე (ს.-დ.). **ბატონებო! ამ დღესაც მოვესწარი! ჩემი გრძელ ცხოვრების მიწურულში ბევრი ბედნიერი დღე გამთენებია, მაგრამ ეს დღე ყველაზე უნიტარესია. ჩემმა ხნოვანობამ წილათ მარგუნა გახსნა ამ დიადი, ამ ორმაგი დღესასწაულისა. ბატონებო, დიდო ბატონებო! დამფუძნებელი კრების წევრნო! უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ მოგიძღვნათ ჩემი გულწრფელი, გულის სიღრმიდან ამოღებული სალამი! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ეს დიადი დღე, დღე ჩვენი ხალხის დაჟეკცებისა, მისი სრულწლოვანობისა! ნება მომეცით დიდის მოკრძალებით მივესალმო ტ დაბლა თავი დავუკრა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს (ტაში). სალამი დიდ ბრიტანეთს. (ტაში; დეპუტატები ფეხზე ადგომით მიესალმებიან ბრიტანეთის წარმომადგენლებს) ამ აკვანს დემოკრატიისას. (ტაში) ნება მიბოძეთ მივესალმო საფრანგეთს, სამშობლოს რევოლიუციისას (ტაში და ოვაცია), ნება მიბოძეთ მივესალმო, ამერიკის ბუმბერაზ შეერთებულ შტატებს, სიმბოლოს თავისუფლებისას (მხურვალე ტაში და ოვაცია) პატარა შეეიცარიას, (ტაში და ოვაცია,) ამ, ყველა დევნილთა მფარველს. მე მწამს, მე მჯერა, რომ დიდი და მალალი კულტურა ამ კულტურულ სახელმწიფოების, მომფენს თავის ძლევა მოსილს სხივს ჩვენს ნორჩსა და პატარა რესპუბლიკას. გაუმარჯოს რუსეთის ყველა ერებს, რომლებიც განთავისუფლდენ თვითმპყრობელი მეფის ბრძყალებიდან (ტაში). მივესალმები ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებს, ადერბეიჯანს, (ტაში), სომხეთს (ტაში) და მთიელთა რესპუბლიკას (ტაში). ვესალმები სპარსეთის წარმომადგენელს (ტაში). ვესალმები პოლონეთის ახალ რესპუბლიკის წარმომადგენელს (ტაში), ლიტვის და უკრაინის (ტაში), ვესალმები საბერძნეთს, ისპანიას და ჰოლანდიას (ტაში). ახლა ნება მიბოძეთ მხურვალე სალამი მიუძღვნა ჩვენს მთავრობას და მის ბელადს ნ. ჟორდანიას (მხურვალე ტაში). მათ ღირსეულათ ატარეს მძიმე ქუდი მონობისა, რომელიც მათდა უნებურათ დაბურა მათ უჩვეულო მომენტმა. ვაშა, ვაშა თქვენ მხნეობას, ვაშა თქვენ გამჭრიახობას და საქმიანობას. ბატონებო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ნება მიბოძეთ კვლავ თქვენ მოგესალმოთ! კეთილი იყოს თქვენი ფეხის შემოდგმა ამ თეთრ ზალაში, სადაც ვინ იცის, რამდენი შავი საქმენი გაკეთებულა! ბედნიერი იყოს თქვენი აქ დაბინავება, აქ, ამ თქვენ სახლში, რომელსაც სხვები ჰეტრონობდნენ, რომელშიაც ხალხის მტრები ხალხის ხარჯზე ქეიფობდნენ ღროს ატარებდნენ, ხალხის ბორკილებს სვეედნენ და ამაგრებდნენ. კურთხეულ იყოს საფუძველი იმ ახალ სახელმწიფოებრივ შენობის, რომლის ასაგებათ თქვენ ბრძანდებით მოწოდებული. მეტად სერიოზულ მომენტში დგებკისრა თქვენ დროთა ბრუნვამ ეს თქვენი მძიმე მოვალეობა. ჩვენ მოწამენი ვართ, ბატონებო, ისეთ აშბების, მოძრაობის, ცვალებადობისა, რომლის მსგავსი ასეთი ფართო მასშტაბით არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. მოძრაობა—ცვალებადობა სულთა ცხოვრებისა, მაგრამ ეს ყველასათვის გასაგები შეუშარიტება, წინათ თვით უდიდესი მეცნიერებისთვისაც წარმოუდგენელი და მიუწდომელი საიდუმლოება იყო. ფილოსოფოს არისტოტელს ვერაკი წარმოუდგინა სახელმწიფოებრივი ცხოვრება გარეშე მონობის ინსტიტუტისა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ პროცესი განვითარებისა, მოძრაობისა მეტისმეტათ ნელი ნაბიჯით მიდიოდა. დღეს სულ სხვა სურათი იშლება ჩვენს თვალწინ. დღეს ისტორია თითქოს გამოერკვა სადათის ძილიდან, ამოიფშვნიტა თვალები და პირველათ იხილა თავისი ცოდვები: ეს საშინელი, გულშემზარავი სიზანტით და ზმორვით ჩოჩვა და ხოხვა. მან თითქოს იგრძნო მთელი სიმძიმე ამ ცოდვების და აი, თავის წარსულის ასანაზღაურებლათ აუშვა თავისი დაბმული მალი მერანი ჩვენ ვხედავთ, რა თავ-ბრუ დამსხმელი სისწრაფით მიეჩქარება წინ ეს მერანი, და ჩვენ ვხედავთ, რა საშინელ რაყვას და ნგრევას იწვევს არე მარეში ეს მოძრაობა. ინგრევა სახელმწიფოები, ისპობა, თუმცა დროა მოუმზადა, მაგრამ, ჯერ კიდევ ძლევა მოსილი წოდებები, ნაფოტივით იმსხვრევა ტახტები ღვთის მიერ მირონცხებულთა, რომელთა ერთი სახელი შიშის ზარს სცემდა მთელ ქვეყნიერებას. ერთ სიტყვით, ცხოვრება ვეღარ ეტევა თავის ტანში, გაფაციცებით კანს იცვლის, განახლების-გადახალისების გზაზე დგება. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ახალ კანში ისკვნება. თავისთავად ისმება საკითხი—რა დავკარგეთ ჩვენ, და რა შევიძინეთ, ჩვენ ამ საერთაშორისო ორომტრიალში. პასუხი მოკლეა: დავკარგეთ ის, რის დაკარგვა და დამარხვა ყოველთვის შეადგენდა ჩვენი დემოკრატიის საოცნებო საგანს, მის პირველ იდეალს. წყვლა-კრულვით გადუშვით მეფის თვითმპყრობელობა იმ უფსკრულში, რომლის პირამდის მიიყვანა მან მრავალი ტანჯული, და წამებული მშრომელი ხალხი. აი, ბატონებო, სიდიადე თებერვლის და მარტის რევოლიუციისა. ბედნიერი ბრის ის ახალი თაობა, რომელმაც მხოლოდ იხილა დამარხვა, მაგრამ თავის ნორჩ სხეულზე საშინელი არ უწვნია ბრუყალები ორთავიანი არწივის რეჟიმის. მაგრამ, ეს ცოტაა, ეს არ კმარა. არ კმარა მარტო დანგრევა ძველისა. საჭიროა მეფის თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ხალხის თვითმპყრობელობის გამაგრება, ძველის საფლავზე ახალი, მტკიცე საძირკველის დაფუძნება და აი აქედან წარმოდგება ჩვენი მეორე იდეალი: სრულ უფლებიანი დამფუძნებელი ყრილობა. დამფუძნებელი ყრილობა ეს გვირგვინია რევოლიუციისა, მის მონაპოვართა განმტკიცებაა. მთელი 9 თვე ატარა რუსეთის დემოკრატიამ იდეა ამ ყრილობისა, ბოლოს დიდი ვაივაგლახით და ტანჯვით წარმოშვა მან ეს ყრილობა. მაგრამ აქვე გამოიაშკარავდა სისუსტე ამ დემოკრატიისა. მან ვერ შესძლო მისი მოვლა-პატრონობა, და აი, ერთ ცხოვრისა არ იყოს დაბადებისთანავე შთანთქა მშობელმა თავის შობილი. ოქტომბრის გადატრიალებამ გადაუშვა ანარქიის მორევში დიდი გემი დიდი რევოლიუციისა. ლოცვა-კურთხევით მოიგონებს მომავალი თაობა, მადლიერი თაობა ჩვენს დემოკრატიას და მის მთავრობას, რომელმაც ერთად ერთმა არ დაჰკარგა გონება, არ მიეცა სასოწარკვეთილებას—ამ საერთო განცდის დროს. მხოლოდ ამ დემოკრატიამ გადაარჩინა ჩვენი პატარა ნავი მწარე ხვედრს, დიდი რევოლიუციას დიდი გემისა, რომელზედაც მთელ 100 წლის განმავლობაში მიკრული იყო მაგარი ჯაჭვით. მხოლოთ მან ერთმა გააცილა ეს ნავი ათასგვარ დაბრკოლებას და კლდეებს, ანარქიის უძირო ზღვაში ამოზიდულთ და მოიყვანა აქ, ამ სამშვიდობოში, ამ დიადი, ამ ძვირფას განძით, დამფუძნებელი კრებით. ცხადია, ეს დიდი საქმე არის შედეგი არა უბრალო, ბრმა და ბედნიერი შემთხვევის, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ, არამედ ჩვენ დემოკრატიის იმ სწორი პოლიტიკური სიბრძნე—სიმშიფის, რაზედაც ეს იყო მოგახსენებდით. არ არის დარგი ისეთი რთული და საიდუმლოებით მოცული, როგორც პოლიტიკა, და ვაი იმ ხალხს, რომლის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს არ შესწევს გამჭრიახობა ჩაიხედონ ამ საიდუმლოების სიღრმეში და გაიკვლიონ გზა ამ იშვიათ ხელოვნების ბნელ ლაბირინტში. თვითეული ნაბიჯი მრუდეთ გადადგმული ამ სფეროში შეიძლება გახდეს საბედისწერო ნაბიჯად მთელი ხალხისათვის. აბა რა ხეირი დაყარეს, ბატონებო, თავიანთ ხალხს იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც მხოლოდ სხვა ხალხის დაღუპვაზე, სხვის უბედურებაზე ოცნებობენ. მეორე ცოცხალი მაგალითი: რას ფიქრობენ და რას ცდილობენ ჩვენი ფეხ მარდი კომუნისტ-ბალშევიკები? მთელ ქვეყნიერებაზე და არა მარტო რუსეთის ცხოვრებაზე, სოციალიზმის ხელათ გახსნა-ციელებაზე და ერთი მუჭა წითელ არმიელების ხიშტებით ვებერთელა რუსეთის გლეხთა ამ უმაღლეს სოციალურ სამეფოში გადატყორცნაზე.

სულ სხვა გზა აირჩია ჩვენმა დემოკრატიამ. კაცი ბამიობას და მეზობელთა მძულვარებას მან დაუპირდაპირა შეუშარიტი დემოკრატიული პრინციპი ერთა სოლიდარობისა და კეთილ-განწყობილებისა, კომუნისტთა დამდუპველ ექსპერიმენტებს წინააღმდეგობა და შორს მშვერეტელობა. ჩვენი სურვილი იყო რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლა და პირსა და ლხინში მასთან ყოფნა, მასთან სიცოცხლე. მაგრამ მწარე სინამდვილემ გვიმტყუნა, და გაგვცრუა ეს იმედები. ანარქიის ტალღებმა მოგვწყვიტა მას და ობლათ გაგვიყენა და როცა ჩვენ ანგარიში გაუწიეთ ამ სინამდვილეს, მაგრათ შემოვიბარეთ შემოვიბეკნეთ პირველად მთელ ამერიკა-კავკასიის და შემდეგ ჩვენ რესპუბლიკის ფარგლებში. ჩვენმა „კეთილის მოსურნეებმა“ დაიწყნეს და დაგმეს ეს ჩვენი ტაქტიკა. შემდეგ, როცა ჩვენი და ჩვენი განმარტოებაც რესპუბლიკის მდგომარეობა იმდენათ გართულდა, რომ ამგვარათ დაისვა კითხვა ჩვენი ფიზიკური ყოფნა არ ყოფნისა და როცა ჩვენ არ ყოფნას ყოფნა ვარჩიეთ, და კარზედ მოსულ განსაცდელს თავი დავუდგეთ, ეს იმავე ჩვენმა „კეთილის მსურველებმა“ არამც თუ დავიწყნეს, არამედ პირდაპირ დამალულად დემოკრატიულ პრინციპის ღალატად ჩამოგვაჩვენეს და ასტეხეს საშინელი განგაში: ქვეყანა იქცევა, ჩვენ თან მივყვებით, თქვენ კი რადაც საკუთარ არსებობაზე ფიქრობთო. ასეთია, ბატონებო, ბუნება ბუშმენთა მორალისა. როდესაც ამოშიშვლებული ხმლებით თავს გესხმიან, კარგ საქმეს შვრებიან! როცა თავს იცავთ ვერაგულ თავდასხმიდან—ეს ცუდზე უცუდესია! დავუტოვოთ ბუშმენებს მათი ბუშმენური მორალი და გავსწიოთ წინ იმ ჩვენი სწორი გზით, რომელმაც ერთ ერთხელ გამოგვიყვანა გამოუსვლელი ჩიხიდგან, რომელმაც შეგვანარჩინა ძვირფასი მონაპოვარი რევოლიუციისა.

ბატონებო, დღეს, ამ რევოლიუციის, რუსეთის რევოლიუციის 2 წლის თავია. ჩვენი დემოკრატია, მადლიერი დემოკრატია არ დავიწყებს დიდ ამაგს რუსეთის დემოკრატიისას. მუხლის მოდრეკით მოვიხსენიებთ ამ დემოკრატიას, რომელთა თავი დასდვეს საკაცობრიო სამსხვერპლოზე. 2 წელიწადია, რაც მოპოვებულ ჩვენს თავისუფლებას ემუქრებიან ყოველ მხრიდან მოზღვავებული მტრები. სახელი და დიდება ჩვენი ხალხის რჩეულ შვილებს, სახალხო გვარდიას და ახალგაზრდა ჯარს, რომელთაც თვისი თავდადებული მამაცობით შეინარჩუნეს, დაიცვეს, შეგვინახეს და ჩაგვაბარეს ჩვენ ეს თავისუფლება (ტაში). აწ, ბატონებო, თქვენს ხელთ არის ბედი ამ ჩვენ ქარცეცხლში გამოტარებული ავლა-დიდებისა. ვერ ვიტყვით, რომ სრულიად უზრუნველი, დაზღვეული იყოს ეს თავისუფლება მოსალოდნელ საშიშროებისაგან, ვინაიდან არ სჩანს დასასრული იმ ქაოსისა, რომლის ალში ჩაგდო მთელი განათლებული კაცობრიობა საშინელმა მსოფლიო ომმა. მაგრამ ერთი რამ კი შეიძლება აქ ითქვას გადაჭრით: ხალხი, რომელმაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაიცვა თავისი ვინაობა, ხალხი, რომელსაც არ შეეშინ და ჩრდილოეთის სუსხიან ზამთრის, რომელთაც გამოიჩინა უნარი თვით მოპყრობისა სქელი და ცივი ყინვის ქვეშ პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ზრდა-განვითარება—ეს ხალხი არ დაიღუპება და არც დაღუპავს მოპოებულ თავისუფლებას. მაშ, გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიას, საქართველოს თავისუფალ და დამოუკიდებელ რესპუბლიკას. გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას. ერთხელ კიდევ გიძღვნით ჩემს გულწრფელ სალამს და კიდევ გისურვებთ წარმატებას დი თავისუფალ მუშაობას (ხანგრძლივი ტაში). დამფუძნებელ კრების მუშაობისათვის საჭირო არის ღირსეული და დახელოვნებული ხელმძღვანელი; ინებეთ, ბატონებო, დასახელება კანდიდატებისა. სიტყვა ეკუთვნის ნოე ციხაძეს.

ნოე ციხაძე (ს. დ.) ს. დემ. ფრაქციის სახელით წინადადება შემოაქვს: არჩეულ იქნას დღეს დამფ. კრების თავმჯდომარე და მას უმფროსი ამხ. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარედ ჩვენ ვასახელებთ ნიკოლოზ სვიმონის ძე ჩხეიძეს (ტაში) და მის უფროს ამხანაგად ალექსანდრე ლომთათიძე.

თავმჯდომარე. არის თუ არა სხვა კანდიდატები? სხვა კანდიდატები არაა. ვინ არის მომხრე თავმჯდომარეთ ნიკოლოზ ჩხეიძის არჩევისა? წინააღმდეგი არავინაა. ვინ შეიკავებ თავი? არავინ. ერთხმად არჩეულია. (ხანგრძლივი ტაში). ვინ არის მომხრე უფროს ამხანაგათ ალექსანდრე ლომთათიძის არჩევის? წინააღმდეგი არავინაა. ვინ შეიკავებ თავი? არავინ. ერთხმათ არჩეულია ალექსანდრე ლომთათიძე იკავებს თავმჯდომარის ადგილს. სილიბისტრო ჯიბლაძე მას ესალმება და თავმჯდომარის ადგილს სტოვებს. დეპუტატები ალ. ლომთათიძეს ტაშის ცემით ეგებებიან.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ.

დამფუძნებელი კრების ... ხელ ... რედაქციამ მიღოცვის დეპეშები მიიღო შემდეგი ადგილებიდან:

ფოთი მარ. 12. (საკ. კორ.). **დღეს 12 საათზე მუშათა დეპუტატების საბჭომ გამართა რევოლიუციის ორი წლის თავის და საქართველოს დამფუძნებელი კრების აღსანიშნავათ მიტინგი, რომელზედაც ხალხი მოდიოდა რევოლიუციონური დროშებით და მარსელიოზით. ილაპარაკეს მუშ. დეპ. საბჭოს, პარტიების და პროფესიონალურ ორგანიზაციების და აზოგადო დაწესებულებების წარმომადგენლებმა, სიტყვები წარმოსთქვეს ოგრეთვე დამ. უძნებელ კრების წევრებმა ლ. ჯ. კელეურაძემ და ვ. მ. ნოდიამ, რომლებსაც ხალხი აღტაცებით შეხვდა, მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მხურვალეთ ესალმება დამფუძნებელ კრებას. რეზოლიუცია გადგზავნა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს.**

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ მარ. 12. (საკ. კორ.). **ავდარის მიუხედავათ ოზურგეთის მოედანზე გაიმართა საღღესასწაულო მიტინგი საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნის გამო. სიტყვები წარმოსთქვეს ერობის და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებმა. გაიმართა მანიფესტაცია დროშებით. ასეთივე დღესასწაული გაიმართა მთელ გურიაში, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს გაეგზავნა მისალმების დეპეშა.**

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ მოქალაქეთა 12 მარტის მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრენ მუშები, ჯარი და გვარდია, დღესასწაულობს რუსეთის დიდ რევოლიუციას, ესალმება საქართველოს დამფუძნებელ კრებას; მას სწამს, რომ ხალხის წარმომადგენელნი პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას, დაიცავენ რევოლიუციონურ ბრძოლით მოპოებულ თავისუფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობას და მხარს დაუჭერენ საერთაშორისო დემოკრატიის ბრძოლას. მიტინგი ალთქმას სდებს, რომ იგი სიტყვითა და საქმით დამფუძნებელ კრებასთან იქნება და მასთან ერთად იმუშავებს და იბრძოლებს დემოკრატიის ინტერესებისა და უფლების დასაცავად. მიტინგის ხელმძღვანელი ნ. ბუშბურიძე.

ᲐᲪᲐᲜᲘᲡ საზოგადოების მრავალრიცხოვანი მიტინგი გამოსთქვამს უდიდეს სიხარულს და ალტაცებას საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის ბრწყინვალე დღესასწაულის გამო. მთელი საქართველოს მუშათა კლასთან ერთად ისიც ეძღვნება ალმაფრენას იმ ბრწყინვალე გამარჯვების გამო, რომელიც ერგო სოციალ დემოკრატიულ პარტიას. საქართველოს ბედი საამედო პირთა ხელშია. ჩვენ იარაღით ხელში დავიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დამფუძნებელ კრებას, რომელმაც მაშვრალთა საკეთილდღეოთ უნდა გადასწყვიტოს ის სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, რომელიც რევოლიუციამ წამოაყენა. მინდობილობით რაფიელ ჩხაიძე.

ᲗᲑᲘᲡᲘ საზოგადოება ალტაცებით შეხვდა საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს. გადახდილ იქმნა პარაკლისი. გაიმართა მრავალრიცხოვანი მანიფესტაცია, წარმოთქმულ იქნა სიტყვები, რომლებშიაც გამოსთქვამდენ ღრმა და გულწრფელ ერთგულებას კრებისადმი და უსურვებდენ რათა მისი მუშაობა ყოფილიყვეს ნაყოფიერი საქართველოს ეროვნებისათვის. გაუმარჯოს საქართველოს და მის დამფუძნებელ კრებას. ქავთარაძე, ოვბაიძე, იგულაშვილი, ვალაშვილი, აფციაური, იაკობიძე, კობაიძე, კორინთელი, ხუციმოვი, აფციაური, წავაძე, ვალაშვილი, კავკასიძე, ზაალიშვილი, პარკაძე.

ᲐᲮᲐᲚ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს უზენაეს ორგანულ და უსურვებენ მას ნაყოფიერ მუშაობას, რევოლიუციის მონაპოვართა უფლებების დაცვას და განმტკიცებას მშრომელი ხალხის საბედნიეროთ.

— წერა კითხვის სენაკის განყოფილების გამგეობა სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას ქართველი ერის და რევოლიუციის საკეთილდღეოთ.

— ალფრთოვანებულნი სალამს ვუძღვნით ქართველ ერის სუვერენობის გამომხატველ უზენაეს ორგანოს. სენაკის ვაჟთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო.

ᲒᲣᲠᲘᲐ-ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთიონო გამგეობა ალფრთოვანებით ეგებება დამფუძნებელ კრებას. უძღვნის სალამს საქართველოს საამაყო შვილთ, რომლების მეოხებითაც რევოლიუციის მონაპოვარი შენარჩუნდა საყვარელ სამშობლოს. გამგეობის თავმჯდომარე ფარცხალავა, თავმჯ. ამხანაგი შოთაძე, მდივანი ჩოჩია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲖᲘᲡ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ადგილ-

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საესებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

„დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ კავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღეანდელი მდგომარეობა აუცილებლათ მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ცებულნი ვეგებებით ახალგაზრდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას. გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას.

უკანასკნელი ცნობები

ახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ვლ. ჯიბლაძე დეპეშით ატყობინებს: „12 მარტს, დილის 11 საათზე, ჩვენმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ აბასთუმანი აიღო. ჩვენის მხრით მოკლულია 8, დაჭრილია 50 კაცი.

ფოთიდან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „დღეს ნაციონალური საზეიმო დღის და რევოლიუციის 2 წლის თავის აღნიშვნის დღეს ზღვაში ჩაუშვით ახალი გამანადგურებელი „პატარა კახი“. დროებით მივიღე მისი უფროსობა, რომლის მთელი შემადგენლობაც მზადაა საბრძოლველად. მე და ჩემი თანაშემწეები, ყველა სამხედრო მეზღვაურები მზად ვართ დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკა და მწამს, რომ „პატარა კახი“ გმირულად ეკვეთება მტერს და ღირსეულ პასუხს გასცემს მას. გამანადგურებელი „პატარა კახი“ არასოდეს ქედს არ მოიხრის მტრის წინაშე. კაპიტანი გოგავა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა საააგენტო)

12 მარტი

ინგლისური პრესის ცნობები.

„დეილი მეილი“-ს პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: უმაღლესმა სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა, რომ თანახმად დროებითი ზავის პირობებისა, გერმანიის მთელი საგაჭრო ფლოტი ზღვაში უნდა ჩაიძიროს. ამის სისრულეში მოყვანის შემდეგ მოკავშირენი აგვისტომდე მიაწვდიან სურსათს გერმანიას, თანახმად მისი თხოვნისა, სურსათის ფასს ოთხი საშუალებით გადაახდევინებენ: 1) ფრაბტით, რომელიც ნისიათ დაეთმობა გერმანელებს; 2) იმ საქონლის ექსპერტით, რომლის გაზიდვის ნებას მისცემენ გერმანელებს ნეიტრალურ ქვეყნებში და შეთანხმების იმ სახელმწიფოებში, რომელნიც იმ საქონლის საჭიროებას განიცდიან; 3) სალდვარ-გარეთ გაზიდულ საქონელში აღებულ თამასუქებით. უმაღლეს სამხედრო საბჭოს სხდომაზე ლოიდ ჯორჯმა დაეთნებით მოითხოვა, რომ ალიუნებლივ დაიწყონ გერმანიისთვის სურსათის მიწვდენა. თავის მოთხოვნას ლოიდ ჯორჯი ამყარებდა იმ დეპეშას, რომელიც მან ამ საკითხზე კამათის დროს მიიღო გენ. პლუმერისაგან, რომელიც იუწყებოდა, თუ როგორი მდგომარეობაა დაპყრობილ ოლქებში და რა შთაბეჭდილებას ახდენს დამშეულ ქალების და ბავშვების სანახაობა. ლოიდ ჯორჯი გამეტებით მოითხოვდა დაპყრობილ ოლქების მცხოვრებთათვის სურსათის დაუყოვნებლივ მიწვდენას, რათა თავიდან აცილებულ იქნას ბალშევიზმის გაძლიერება. გენ. პლუმერის დეპეშამ საბჭოზე მოახდინა დიდი შთაბეჭდილება, რომელიც ლოიდ ჯორჯის ენერგიულმა სიტყვამ უფრო გაძლიერა.

თემთა პალატაში შეიტანეს შეკითხვა შეუთანხმდება თუ არა ინგლისის მთავრობა საფრანგეთის ლამანშის სრუტეს ქვეშ გვირაბის დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, რათა განთავისუფლებულ ჯარისკაცებს სამშაო მისცენ. შეკითხვის საპასუხოდ ბონარ ლოიმ განაცხადა, რომ მან უკვე დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთის პრემიერ მინისტრთან. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი ამ პასუხის მნიშვნელობის შესახებ ამბობს: „ბრიტანეთის მთავრობამ პირველად გამოსთქვა პრინციპიალური თანხმობა ამ გვირაბის გაყვანაზე და შესაფერი ინსტრუქციები მისცა სერ ლეველენ სმიტს და საგაჭრო საბჭოს, რომელიც ამ ეამათ პარიზში მსჯელობს ამ საკითხზე. საზავო კონფერენციის პრეზიდიუმი იხილავს არა მარტო ლამანშის, არამედ გიბრალტარის და ბოსფორის სრუტეების ქვეშ გვირაბების გაყვანის პროექტებს.

ბერძნული პრესის ცნობები.

„დეიტშე ალგემაინე ცეიტუნგი“ სწერს: „თანახმად ინგლისურ და ფრანგულ გაზეთების ცნობებისა ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ბრიუსელში მყოფი მოკავშირეთა წარმომადგენელნი დათანხმდებიან, რომ ჩვენ სურსათი გვაწოდონ ახალ მოსავლამდე. ეს თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოფს ჩვენ მდგომარეობას, თუ მოზიდული სურსათი საესებით დაკმაყოფილებს ჩვენ საჭიროებას და თუ საფრანგეთის პირობები ისეთი იქნება, რომ შეგვიძლია მათი დაკმაყოფილება.“ გაზეთი ამბობს, რომ გერმანიას ეხლა მხოლოდ 13 წარმომადგენელი ეყოლება. გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარედ იქნება სტატს სეკრეტარი ფონ-ბრაუნი, მის ამხანაგათ დ-რი მელხიორი. დელეგაციაში შედგა აგრეთვე გერმანიის ბანკის გამგე მანჩევიჩი.

მიულჰეიმში მუშების ხელფასის სიმცირის გამო ფრიდრიხ ვილჰელმის ქარხანაში მიდნის საღნობი ქურა ჩააქრეს. რევოლიუციონურ მუშათა მიტინგმა გაჭიცხა მუშათა ერთი ჯგუფის ასეთი საქციელი.

დიდი გერმანიის ფარგლებში, განსაკუთრებით გერმანიის დასავლეთის რესპუბლიკის შექმნის მომხრეებმა კელნში მიტინგზე პლებისციტის პრინციპი მიიღეს და განაცხადეს: „ჩვენ მეადამ წინადადებიანი ვეგავით გერმანიის დასავლეთის ნაწილის სრული სეპარაციისა“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დემ. მუშ. პ. ცენტრალური კომიტეტის

◆ **დამფუძ. კრების ბახსნის** გამო პრეზიდიუმმა მიიღო 500-მდე დეპეშა. გარეშე სახელმწიფოთაგან მიულოცეს დეპეშით: სომხეთმა, ადერბეიჯანმა და მთიელთა რესპუბლიკამ.

◆ **მატარებლის დამხსნელნი.** სოღანლიდან იტყობინებიან, რომ 11 მარტს, კუმისსა და სადანლოდის შუა საფოსტო მატარებელი № 4|3 დიდი სიჩქარის გამო ლიანდაგს გადასცდა. მატარებლის მიმოსვლა დროებით შეჩერებულია. მსუბუქად დაჭრილია 2, მოკვდა 1.

◆ **ხაკიანის წახვლა.** სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე ა. საკიანმა, რომელიც თფილისში იყო ჩამოსული შეთანხმების სახელმწიფოთა სარდლობასთან მოსალაპარაკებლად, გუშინ 1 ს საათზე ერევანში გაემგზავრა.

◆ **უარი სალიტერატურო გასამართლებაში მონაწილეობაზე.** რედაქციამ გამოსაქვეყნებლად შემდეგი წერილები მიიღო: სხვა და სხვა გარემოების გამო მე არ შემიძლია მონაწილეობა მივიღო სალიტერატურო გასამართლებაში: „დანშაფი სომხეთი თუ არა საქართველოსთან ომში“. ეს წერილობით ვაცნობე 9 მარტის თარიღით გასამართლების მომწყობთ. რ. არსენიძე.

◆ ამას წინედ გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, ვითომც მე მონაწილეობას ვიღებდი სალიტერატურო გასამართლებაში, იმის შესახებ, თუ ვინ არის დანშაფი საქართველო-სომხეთის ომში. ამით ვაცხადებ, რომ ამის თანხმობა მე არ მიმიცია და მონაწილეობასაც ვერ მივიღებ. დ. ონიაშვილი.

◆ **ბაშკირეთის არმომადგენელი.** თფილისში ჩამოვიდა ბაშკირეთის წარმომადგენელი შარიფ მანატოვი, რომელიც საზავო კონფერენციაზე მიემგზავრება. ჩვენ კორესპონდენტთან ბაკაში წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბაშკირეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა და უჭირავს ფფის გუბერნიის დიდი ნაწილი. მცხოვრებთა რიცხვი 2 მილიონამდეა. რესპუბლიკა ოფიციალურად ცნობილია რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ. რესპუბლიკას სათავეში უდგანან დემოკრატები. სამხედრო ძალა შესდგება 7 პოლკისაგან და მოხალისე რაზმებისაგან. რესპუბლიკას ეხლა ემუქრება კოლჩაკი და დუტოვი. ამიტომ ბაშკირთა საბჭო რუსეთის მხარეს იქერს, რომ შეერთებული ძალებით ებრძოლონ კოლჩაკისა და დუტოვის კონტრრევოლიუციას. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ბაშკირეთის მთავრობა თანაგრძნობით უცქერის.

◆ **იუსტიციის სამინისტროს ანგარიში.** რედაქციამ მიიღო მოკლე ანგარიში იუსტიციის სამინისტროს მოღვაწეობისა დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

◆ **თფილისის** სამაზრო ერობამ 8 მარტის სხდომაზე აირჩია 6 მომრიგებელი და 4 საპატიო მომრიგებელი მოსამართლე. მომრიგებელ მოსამართლეთ არჩეული არიან: ზ. ალიშვილი, ყარანგოზიშვილი, მ. ლეონიძეიშვილი, იაგორაშვილი, ლოტოევი და ლ. ლაბაძე. საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად: ეს. ავალიშვილი, გ. ბერძენიშვილი, ლ. ასათიანი, ნ. გვანცელაძე.

◆ **ქუთაისის ქალაქის საბჭოში** არჩეულ იქნენ: სოც.-დემ. 34; ნაც.-დემ. 14; სოც.-რევოლ. 1; მაზერალთა პარტია 1; სოც.-ფედ. 9; დამოუკ. ნაციონალ დემოკრატები 1.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, 14 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე ვიქთა 1 გიმაზიის დარბაზში დანიშნულია თფილისის პირველ დაწყებით და უმაღლეს დაწყებით სკოლების ქართველ მასწავლებელთა საზოგადო კრება.

სომხეთის პარლამენტში

ის, რაც მოხდა 27 თებერვალს სომხეთის პარლამენტში, არის სრულიად უნახავი მოვლენა და ამ მხრივ ყველა ქვეყნების პარლამენტარულ ცხოვრებაში სომხეთის პარლამენტმა თითქოს მსოფლიო რეკორდი აიღო.

ამ სკანდალის, ანუ როგორც ამას ეძახის „ჰარაჩი“ „ჩვეულებრივი უმნიშვნელო ინციდენტის“ გმირებად გამოვიდნენ „ზინვორები მაუზერისტები“.

გაზ. „ეროდოვორთი ძაინ“ ამ ინციდენტს ასე გადმოგვცემს: პარლამენტის 27 თებერვლის სხდომაზე ყველა ფრაქციები გამოცხადდენ, გარდა დაშნაკცაკანებისა. როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ გრიგორ ტერ ხაჩატურიანმა გახსნა პარლამენტის სხდომა, მაყურებელ საზოგადოებას გამოეყო რამოდენიმე „მაუზერისტი“ და დაიწყეს ყვირილი: „არ გახსნათ სხდომა, რადგანაც უმრავლესობა (ე. ი. დაშნაკცაკანები არ არიანო“.

ს.-რ. ლიდერი დავით ზუბიანი ურჩევს თავმჯდომარეს მისცეს სხდომას საუბარის ხასიათი საზოგადოებისათვის. მაგრამ ბ.ბ. „მაუზერისტებმა“ ამის ნებაც არ დართეს: „წაეთრიეთ, წაეთრიეთ აქედან თათრებთან, ჩვენ არ გვსურს, რომ თქვენ აქ გხედავდეთო“ და სხვ.

აშკარა საშიშროების გამო დარბაზს სტოვებენ თავმჯდომარე ტერ-ხაჩატურიანი და შინაგან საქმეთა მინისტრი ხატისოვი. დ. ზუბიანი იქერს თავმჯდომარის ადგილს, რომ წესიერება ალადგინოს, მაგრამ ის ამას ვერ ახერხებს: „მაუზერისტებმა“ მიუშვირეს მას რევოლვერის ლულა და დაემუქრნენ მოკვლას, თუ არ წავიდოდა. ბოლოს საქმეში ჩაერია დაშნაკცაკანი ვ. ტერ-ტოროსიანი და სისხლის ღვრა თავიდან აიცილებინა. მიუხედავათ იმისა, რომ დ. ზუბიანს სიკვდილით ემუქრებოდნენ, ის ტრიბუნას არ სტოვებს. „მაუზერისტებმა“ დაინახეს რა, რომ ზუბიანი ტრიბუნას არ სტოვებს და მუქარა არ სჭრის, ჩააქრეს ელექტრონი, რის შემდეგ დარბაზი იცლება.

ამ „ჩვეულებრივი უმნიშვნელო ინციდენტს“ თავიდან ბოლომდე ესწრება საზოგადოებრივი მზრუნველობის მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ს. ტოროსიანი, რომელიც რჩება ინტიფერენტულ მაყურებლის როლში. იმის გამო, რომ „ჰარაჩი“ ამახინჯებს აღნიშნულ სკანდალს, უწოდებს რა მას „ჩვეულებრივ ინცინდენტს“, უმატებს რა, რომ ყველა წვრილმანი რედაქციამ იცის, „ეროდ. ძაინ“-ის თანამშრომელი ბ. პოტეიანი კითხულობს: „როგორ ჰგეადავს „ჰარაჩის“ რედაქცია უწოდოს ამ გაუგონარ ძალდატანებას, ნამდვილ ბაშიბუზუკობას, ჩვეულებრივი ამბავი? თუ ყველაფერი ამ შემთხვევისა, რედაქციამ დაწვრილებით იცის და ის არაფერს არაჩვეულებრივსა და გაუკიცხავს არ ხედავს ამაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მეტად არა საპატიო წარმოდგენა ჰქონია სომხეთის პარლამენტზე, სადაც უმრავლესობა დეპუტატებისა მათივე თანამოაზრეებია და ნუ ეწყინება, თუ ჩვენ შევნიშნავთ, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს პირდაპირ ბოტენტიური მსოფლმხედველობა, რომ ჩასთვალოს ჩვეულებრივ მოვლენად ის, რის გამო ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ითხოვენ რამოდენიმე ფაფახიანი პირების ნებაზე. და თავმჯდომარე და დეპუტატები მაუზერის შიშით იძულებული არიან დასტოვონ ხოლმე სხდომა“ („ბ.“).

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

20 თებერვალს მოგვიკლეს მიხაილოვის გვარდიის ხელმძღვანელი და ყველას საყვარელი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მიტია (დიმიტრი) ტყეშელაშვილი, რომელიც წასვენებულ იქნა მიხაილოვში და დაკრძალეს გორათის საძმო სასაფლაოზე.

ჩვენმა ჯარმა 5 მარტს დაიწყო შეტევა დიდის 6 საათზე.

მდ. მტკვრის მარჯვნივ გვარდია და მარცხენა მხარეზე რეგულიარულმა ჯარმა ერთ და იმავე დროს გაჰაჩდეს ჯოჯოხეთური ცეცხლი და სლესის ციხიდან რამოდენიმე საათში შევიდა აწყურში. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეს ძლიერი ძალისათვის მოეყარა აქ თავი.

ვინც იცნობს აწყურს და მის მიდამოებს, მისთვის ადვილი გასაგებია თუ რა ძნელია აქ იერიშებზე გადასვლა: ათ კაცს ათასი კაცი შეუძლია შეაჩეროს. მაგრამ უნდა ითქვას ჩვენი გვარდიისა და ჯარის სასახელოთ, რომ მათ დასძლიეს ყოველივე დამბრკოლებელი მიზეზები და ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს მტრებზე. აწყურიდან თერთრი ბაირადებით შემოგვეგება მუხრანსკი და სხვები... ამ დღეს ჩვენი ჯარი დაბინავდა აწყურის ახლომახლო გორებზე.

სალამოს დავათვალიერეთ აწყური. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, როგორც მუსულმანები ისე ქართველები, გაბიზნენთ. რომ შეეკითხეთ, რათ გაბიზნენთ, ჩვენ მშვიდობიან ხალხს ხომ არ ვებრძვითო, გვიპასუხეს:—„შეგვეშინა, ბატონო, იმ ჩვენი ცოდვით სავსე მუსაკიევმა, სერვერ ბეგ ათაბეგოვმა და სხვებმა მოიყვანეს თავიანთი ჯარისკაცები და სულ მათრახის ცემით გამოიყვანეს თქვენს საწინააღმდეგოთ, ვინც არ გამოხვალთ, ყველას დაგხვრეტავთო, გვეუბნებოდენ. ზოგი მაშინვე გაიპარა. ვინც თქვენი მოსვლას მომხრე იყო და ვინც იარაღით იყო, ისინი გაიქცენ. გაიქცნენ ბევრი მშვიდობიანი მცხოვრებნიც, რადგანაც ტყვიები სეტყვასავით მოდიოდა და მოსალოდნელი იყო დიდი მსხვერპლი.

ვუცქერით უპატრონოთ მიტოვებულ სახლ კარს, პირუტყვს, რომელიც საცოდავად დაყიალობენ სოფლად. აგერ ხედავ ტყვიისაგან დაჭრილ მეომრებს, რომლებიც მწარეთ კვნესიან—ზოგი სულს დაფავს სასიკვდილოთ მიწევნილი, უკანასკნელად ეშვიდობება თავის ტოლ ამხანაგებს და ძლივს გასაგონათ სისხლისაგან დაცლილი ამბობს: მშვიდობით, მიშველეთ...

აგერ ხედავ, რომ დაქცეულ გაპარტახებულ ოჯახს მისდგომია თავისი მეზობელი, წინანდელი მეგობარი და დღეს მეზობლის უბედურებაზე თავისი ბედნიერება უნდა აგოს. ძარცვავს მიტოვებულ სახლ-კარს, ხედავთ მრავალ ადმაშფოთებელ სურათებს...

ხალხის მტრებმა არც 6 მარტს მოასვენეს ჩვენი ჯარი... სოფლები გადაიაქციეს საფრენებათ და იქიდან ესროდნენ ჯარს. ამით უნდოდათ, რომ ჩვენს ჯარს სავსებით გაენადგურებინა სოფლები, მაგრამ ჯარი და გვარდია ისე ფრთხილად მიდიოდა, რომ გაქცევის დროს თვით რაც წაიღო ხალხმა და მათმა დამლუპველმა ჩვენმა მტრებმა, თორემ სხვა მხრივ ჯარი იცავდა ყველგან „მორადიორებისაგან“ სოფლებს...

უნდა აღინიშნოს, რომ ჯარისკაცებში და გვარდიელებშიც გამოერევნენ უდირსი შვილები, რომლებმაც, ულალატეს თავის ამხანაგებს და სოფლებში გადადუხვიეს გასაძარცვავათ, მაგრამ ასეთი პირები სამარცხვინო ბოძზე გაკრა გვარდიამ—ჯარმა და მათმა ხელმძღვანელებმა და გადასცეს საბჭიდრო საველე სასამართლოს. ზოგი მათგანი იქავე დახვრიტეს, დანაშაულობის ადგილზე..

6 მარტს მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე საშინელი ცეცხლით მიდიოდა ჯარი და გვარდია. სადამომდე ს. ზიკილამდე მივიდა და ასე გაასწორა საერთო ფრონტი.

5—6 მარტს ბრძოლაში გვარდიელების მხრით დაიჭრა 19 კაცი და დაიხოცა სამი.

ჯარისკაცებიდან დაიჭრა 10 კაცი. ამათი სახელი და გვარი ცალკე იქნება მოთავსებული.

7 მარტს ნაჩვენებ ადგილიდან უბრძოლველათ შევიდა ახალციხეში ჩვენი ჯარი, რომელსაც მიუძღვებოდა ახალციხიდან მოსული დელეგაცია, რომლების პირით ხალხმა მორჩილება გაგვიცხადა...

დავათვალიერეთ სხვადასხვა დაწესებულებები. სხვათა შორის ვნახეთ გლეხთა დეპუტატების საბჭოს საწყობები, სადაც მთავრობის გამოგზავნილი ნავთი, შაქარი, საცვლები და საარჩევნო ყუთები და კონვერტები იყო, ყველაფერი გაუტაცნიათ.

როგორც გამოირკვა, „მარადიორობაში“ თავი უსახელებია ახალციხის ზოგიერთ ჩარჩ ვაჭრებს. უმთავრესათ მათ გაუტაცნიათ სახაზინო და სხვადასხვა დაწესებულებების ნივთები, რომლებსაც ინგლისელები არ იცავდნენ.

ამასთანავე გამოირკვა, რომ ახალციხის მაზრაში ქართველი სოფლები ყველა განადგურებულ გაძარცულია. დაუხოციათ კიდეც ბევრი, რომლებიც დაუმარხავი ეყარნენ.

8 მარტს ჩამოვიდა საბჭიდრო მინისტრი, რომელიც მიიწვია ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და ლტოლვილთა წარმომადგენლებმა კრებაზე, სადაც გააცნეს მინისტრს თავიანთი გასაჭირი და სთხოვეს შეამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა შესაფერი დახმარება ალმოუჩინოთ. მინისტრმა მოისმინა ყოველივე და თავის მხრით განმარტება მისცა სხვადასხვა შეკითხვებზე და ღონისძიება დახმარება.

თითქმის ყველა სოფლებიდან მოდის დელეგაციები და აცხადებენ ერთგულებას და მორჩილებას და ამის დასამტკიცებლათ იძლეიან იარაღს: რომელი სოფელიც ასე მოიქცევა, დადგენილია იქ ჯარი არ გაატარონ და სადაც წინააღმდეგობას გასწევენ, იქ კი, ცხადია, ბრძოლით შედის ჯარი.

8 მარტს გვარდია წავიდა აბასთუმანისაკენ. როგორც აქედან ჩამოსული ლტოლვილები გადმოგვცემენ, აბასთუმანი მთლად გადაუწვავთ.

გამოირკვა, რომ ამ ავანტიურის მომწყობი რეაქციონური ძალები კიდევ იუწევიან პროვოკაციულ აგიტაციას. მაგ. ქარტალოვი ამბობს (სასურსათო საქმის მინისტრი) „ეს დროებითია, ახლო ხანში ისევ ჩვენი ბატონობა იქნება აქა და ამ მიზნით ბრძანებებიც დაუგზავნია სოფლებში „იარაღი არ ჩაბარეთ საქართველოს მთავრობასო“.

ხალხი, თათრეიც და ქართველებიც დიდათ დაბარალებულია.

საჭიროა მთავრობამ დაუყოვნებლივ გაგზავნოს საგანგებო კომისია, რომელიც გამოიკვლევს ზარალს და შესაფერ დახმარებას გაუწევს.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

შაქრის საკითხთან

(წერილი რედაქციის მიმართ).

მოქალაქე რედაქტორო! გაზეთ „ერთობა“-ში მოთავსებული იყო არჩილ რუხაძის წერილი შემდეგი სათაურით: „ქალაქის კოოპერატივთა კავშირი და შაქარი“.

სიმართლის აღსადგენათ და კითხვის სწორ გასაშუქებლად კოოპერატივთა კავშირის გამგეობა გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი: ბატ. რუხაძე სწერს: „ქალაქის გამგეობას მხედველობაში ჰქონდა, რომ ქალაქის კოოპერატივთა კავშირი, რომელსაც მოგვარებული აპარატი აქვს, უფრო რაციონალურად გაანაწილებდა შაქარს, ვიდრე ქალაქის დუქნები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა“.

კავშირის გამგეობას არასოდეს არ მიუღია ქალაქის გამგეობიდან ასეთი განცხადება და ეს წერილის ავტორის ფანტაზიას თუ მიეწერება. კოოპერატივთა კავშირმა გაანთავისუფლა ქალაქის გამგეობა ყოველწლიურ 400 ათას მანეთ ხარჯებისაგან, რომელსაც ქალაქი ხარჯავდა სასურსათო დუქნებზე და არაფრით არ დამტკიცებულა, რომ ქალაქის კოოპერატივთა კავშირები უფრო ცუდათ ანაწილებენ შაქარს, ვიდრე ქალაქის დუქნები. ბატ. რუხაძე სწერს, რომ შაქარი ნოემბრის და დეკემბრის თვეების ჯერაც არ გაუნაწილებიათ, თუმცა შაქარი ამ თვეებისა კოოპერატივებმა დიდი ხანია გაიტანეს და ისიც ნისიათო.

როდესაც კოოპერატივთა კავშირმა 1918 წ. ნოემბერში დაიწყო ქალაქის სასურსათო დუქნების მიღება, კოოპერატივებმა მიიღეს შაქრის საგრძნობი ნაწილი აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვეების, რომელიც არ იყო განაწილებული მხოლოდ იმ კაცს, ვინც არ იცნობს ტეხნიკას, თუ როგორ ნაწილდება ბარათებით სურსათი, შეუძლია არ იცოდეს, რომ ნაწილი სურსათის ყოველთვის რჩება, რადგანაც ბარათების პატრონებს ყოველთვის დროზე არ გააქვთ ხვედრი სურსათი. ბ. რუხაძე სწერს, რომ იანვრის შაქარი ეძლევათ მცხოვრებლებს თებერვლის გასულს, რაც უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებლებში. ამის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან ქალაქის თვითმართველობას ემართა 5 ნახევარი მილიონი მანეთი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სასურსათო საბჭოსი, ამიტომ ფერხდებოდა შაქრის მიღება და მხოლოდ კოოპერატივთა კავშირების თხოვნის თანახმად მიღებულ იქნა შაქარი და თფილისის მოქალაქეთ დროზე დაურიგდათ კიდეც. ბ. რუხაძეს სულ სხვა მიზეზი გამოუნახია: უმთავრესი დანაშაული ის არის, რომ კავშირს არ შეუტანია ხვედრი ფული შაქრის, რომელიც 800 ათას მანეთამდე არისო.

აქ აშკარავდება, რომ ბატ. რუხაძე, თუმცა დიდი ხანია ითვლებოდა ბარათების განაწილების გამგეთ, მაინც არ სცოდნია კარგად სურსათის განაწილების ტეხნიკური მხარე. მართალია, სასურსათო განაწილებამ გამოუგზავნა კავშირს ანგარიში, რომ ქალაქის გამგეობას ეკუთვნის 800 ათასი მანეთიო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ფულების გაფლანგვას. ბ. რუხაძე გაიძახის, რომ არ შეიძლება ენდოს კოოპერატივთა კავშირს იმ დროს, როდესაც მან მილიონ მანეთამდის ქალაქის ფულები გაფლანგო. უნდა ჰქონდეს კაცს დიდი გამბედაობა, რომ ასე სწერდეს, ამ 800 ათას მანეთში შედის დარჩენილი საქონლის ფასი, რომელიც მივიღეთ ქალაქისაგან არა ნაკლებ 50 ათას მანეთის ღირებულების. ამ ფულშივე შედის დარჩენილი შაქრის ფუხვნილის ღირებულება და აგრეთვე კოოპერატივების ვალი. ამავე ჯამში შედის 50 ათასი მანეთი, რომელიც მიიღო კავშირმა ქალაქისაგან ხორცისათვის, 100 ათასი მანეთი, რომელიც მიეცა კავშირს, 100 ათასი მანეთი მიცემული ქალაქის მიერ ფოთიდან სურსათის გამოსასყიდავათ. აგრეთვე ამ დღეებში კავშირმა შეიტანა ქალაქის კასაში 100 ათასი მანეთი. კავშირს ეკუთვნის 120 ათასი მანეთი საკომისიო, თანახმად ქალაქთან ხელშეკრულების. აღსანიშნავია ისიც, რომ ანგარიშებში ად არის გატარებული ის შაქარი, რომელიც ქალაქის გამგეობის ორდერებით არის წაღებული კოოპერატივებიდან. თუ ყველა ამ ეებს მივიღებთ მხედველობაში, დავინახავთ, რომ კოოპერატივებთა კავშირებს მართებს შაქრის არა უმეტეს 300—350 ათას მანეთის. ბ. რუხაძემ უნდა იცოდეს ხელშეკრულება კოოპერატივებისა ქალაქის თვითმართველობასთან სურსათის განაწილების შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად ქალაქის თვითმმართველობა მოვალე იყო მოეწყო კავშირისთვის 3 ნახ. მილ. მან. კრედიტი.

კავშირის ბრალი არ არის, რომ ფინანსიურ კრიზისის გამო, არც ერთი ბანკი არ იღებს ქალაქის თვითმართვე-

ლობის ვექსილებს და არ ანალდებს. კავშირის მიერ დახარჯული დიდი ენერგია ქალაქის დაქნების მიღების დროს. გახსნილ იქნა ანალი განყოფილება, თვით ურსათის განაწილება არავითარ მოგებას არ აძლევს კოოპერატივს, მასზე კი იხარჯება დიდი ენერგია და შრომა. კავშირის გამგეობას უკვირს, რომ ქალაქის თვითმართველობის აგენტი მოურიდებლათ ცილს სწამებს საზოგადო დაწესებულებას, ბრალს სდებს მას ქალაქის ხვედრ მილიონ მანეთის „გაფლანგვაში“. ეს ხდება იმ დროს, როდესაც დემოკრატია საერთო ფინანსიურ კრიზისს განიცდის.

თფილისის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘ ᲗᲣ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲢᲝᲠᲘ

(პასუხად ახალგაზრდა „სოციალისტს“ ალ. ბარამიძეს).

ვინმე ალ. ბარამიძეს მოუთავსებია „სახალხო საქმის“ 465 ნომერში წერილი ამ სათაურით: „პროპაგანდისტის შთაბეჭდილებანი“, რომელშიაც ის მოგვითხრობს: „ყველა პარტიები ამოძრაყდნენ, ყველა მიიღტვის სოფლად, იმართება მიტინგები, კრებები... (ხაზს ჩვენ ვუსვამთ) ჩვენც ფხიზლად ვართ.. ახალგაზრდათა ორგანიზაციამ გამოაყო პროპაგანდისტთა კოლეგია. ამბ. გიორგი ნაკაშიძის ხელმძღვანელობით პარტიული აგიტატორები მოედვა სოფლად. ხალხი ბრმად ადარ უყურებს არჩევნებს. ის უკვე შეგნებულად კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს სოციალდემოკრატიის წარსულ მოღვაწეობას, „ფედერალისტების“ სახელი ადარ აფრთხობს. პირიქით, ამ სახელთან რაღაც კავშირს გრძნობს. სოციალდემოკრატები ამის გამო გესლს ანთხევენ. ხალხთან ვითომ გვაბეზღებენ. ერთერთ „სოციალისტ“ (ფიზიხილები ავტორისა) ვეპარს (?) ბ—ძეს საზოგადო მიტინგზე ეკვიც კი ეპარება ჩვენს სოციალისტობაში. მეორე „ურადემოკრატს“ მურვანოვს ჩვენი პარტია მემამული ვაჭრების დამცველ პარტიად მიაჩნია. ხალხს ეფიცებიან თქვენი ვართ, თქვენთან ვართ??! „საქართველო იხსნა რევოლიუციონურმა გლეხობამ“ აცხადებენ მიტინგზე, მაგრამ ბ. ნოეს სახელმწიფოებრივი პროგრამა? რა ქნან ხალხის წინაშე დგანან“!

მივაქცევ მკითხველების ყურადღების იმ გარემოებას, რომ ბ. ბარამიძე, ჯერ ერთი არ ამბობს, თუ როდის მოხდა საზოგადო მიტინგი და მეორე—სად, რომელ ადგილას მოხდა, სადაც მის სოციალისტობაში ეკვიც კი შეიტანეს. ის ზემოთ ამბობს: „იმართება მიტინგები, კრებებიო.. მართალია, იმართებოდა კრებები, მიტინგები, მაგრამ არსად, საცა საზოგადო მიტინგი კი გაიმართა და თქვენს და თქვენიანების წინააღმდეგ ჩვენი ამხანაგები გამოვიდნენ, არსად ვიმეორებ, თქვენს „სოციალისტობას“ არ გაუმარჯვენია, ხოლო, რაც შეეხება იმ საზოგადო მიტინგს, რომელზედაც არამც თუ თქვენს სოციალისტობაში ეკვი შეიტანეს, არამედ—უფრო მეტი—თქვენ პროვოკატორიც კი გიწოდეს, ამ ადგილს თქვენ განცხრახ არ ასახელებთ, რადგანაც, ფიქრობთ, ის „საჯაყი“ ამბავი, რომელიც თქვენ შეგემთხვათ, არავის გაახსენდეს, მაგრამ თქვენ მაინც ვერ ასცილდით სცილლას და ხარიბდას, რადგანაც „იმ“ საზოგადო მიტინგის შემდეგ სოფ. ოძისიდან თქვენი ეკსორციის ამბავს აგვიწერთ.

ის საზოგადო მიტინგი, რომელსაც თქვენ გაკვრით იხსენებთ, შესდგა ს. იტრიაში 9 თებერვალს. უნდა ადვნიშნოთ, რომ იტრიის და ოძისის საზოგადოება მინდობილი ჰქონდათ ხაშურელ ამხანაგებს და ჩვენ, სურამელ ამხანაგებს იქ არ შეშუშავნიათ. 8 თებერვალს, სალამოს ხაშურიდან ამხანაგმა ესტატე გაგუამ ტელეფონით გადმოგვცა, რომ ხაშურიდან იტრიაში, საცა 9 თებერვალს მიტინგი ჰქონდათ დანიშნული, ვერავინ ჩამოვალო, და გვთხოვა ჩვენ, სურამელებს, მოგვიწყო იგი. 9 თებერვალს ჩვენ მოვაწყეთ საზოგადო მიტინგი იტრიაში, რომელზედაც დაესწრენ მახლობელ სოფლებიდანაც ბევრნი. მიტინგზე პირველათ ილაპარაკა ამხანაგმა მამალაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში გააცინა საზოგადოების, თუ რა გაიკეთა სოციალდემოკრატიამ საზოგადოთ და კერძოთ გლეხებისათვის. იმის შემდეგ ილაპარაკა სოციალისტ ფედერალისტმა გიორგი ნაკაშიძემ, რომელმაც, სიმართლე უნდა ითქვას, არ გადაუხვია ჭეშმარიტებას და დადასტურა წინა ორატორის ნალაპარაკევი, ხოლო „მიწის საკითხში,—სთქვა მან,—ჩვენ არ ვეთანხმებით სოციალდემოკრატებსო“ და ისიც განმარტა, თუ რაში გამოიხატება ეს უთანხმოება. ამის შემდეგ გამოდის ვალა ახალგაზრდა, რომელმაც დაიწყო დემაგოგიით, გადაავიდა პროვოკაციაზე და დაამთავრა ლანძღვა გინებით. ნ მუშიმისი მტკვარ-მეტყველობისა ასეთი იყო: „სოც. დემ. მატყუარები ბრიან, მაგათ დაგლეჯეს თქვენ; ტყე და მიწა თქვენი უნდა იყოს სულ უფასოთ და ისინი კი ტყის ფიჩხის ნებას არ გაძლევენ და შეშა ფიჩხშიაც ბაღს გახდეინებენ; მიწები ჩამოართვეს თავად-აზნაურებს და თითონ ჰყიდიან თქვენზე. სოციალ დემოკრატების ბელადი ნოე ჟორდანია, აი ის ჟორდანია, რომელიც მაგათ სიაშია და ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, გლეხებს ბრიყვებს გეძახით, რეაქციონერებათ, ესე იგი შავრაზმელებათ გნათლავთ, აი, თუ გინდათ წაგიკითხავთ მის ნაწერებს (აქ რაღაც წიგნაკს იღებს ჯიბიდან და ეძებს რაღაცას შიგ) მაგრამ წიგნაკს ჯიბეში იღებს და განაგრძობს: მაგათ დაეაქციეს ქვეყანა, მაგათი მოხელე ხალხი ყველა მეკრთამე და ქურდებია (ძრს გაისმის ხალხში, პროვოკაცია, პროვოკატორის! ჩამოაგდეთ ძირს!)

ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც აბ. ბამალაძემ წარადგინა ხალხს.

პირველი საჯაყი საქმე, რომელიც ბარამიძეს შეემთხვა, მოხდა 9 თებერვალს სოფელ იტრიაში. მეორე—14 თებერვალს სოფ. ოძისში. პირველსა და მეორეს შუა ხუთი დღე გასულა. ეს დრო საკმაო ყოფილა, რომ ბარამიძეს პირველი „მარცხი“ დავიწყებოდა და მომზადებულიყო მეორე მარცხისთვის და აი ის კაი გუნებაზე ყოფილა 14 თებერვლის დილას და „პოეტურის ალაფრენით“ მოგვითხრობს სურამიდან მისს გაგზავრებას „ღმა-ღმა“ სოფ. ოძისაკენ. გზაზე ბარამიძე გაფრთხილებას დებულობს თავმჯდომარე მურვანიშვილისაგან: „ყმაწვილო, გზა კარგად დაიხსომე არ დაგავიწყდესო“, მაგრამ ყმაწვილი ამას ყურადღებას არ აქცევს და განაგრძობს გზას. შემდეგ, როცა ადგილზე მისულან, ყუთი გაუხსნიათ და ოქმი შეუდგენიათ და პარტიის წარმომადგენლებს ხელი მოუწერიათ, თავმჯდომარეს განუცხადებია: „რადგან ახალგაზრდა (ყმაწვილი) ხართ, ჩვენ ვერ მიგიღებთ კომისიაში და ვერ მოგცემთ უფლებას ყუთთან იყვეთო“. აქ რაღაცას მალავს ბ. ბარამიძე და ეს „რაღაცა“ არის ის, რომ ჯერ ის ბიჭია, არ არის ოცი წლისა და როგორც ეგრეთს, ცენტრალური კომისიის განკარგულების თანახმად, არ აქვს უფლება კომისიაში მიიღოს მონაწილეობა. ის კი მოჰყოლია ლანძღვა-გინებას. „რა შია საქმე?“ კითხულობს ბარამიძე. „პარტია გვნშნავს თავის რწმენებულად და ეს ვაუბატონი არ გვეღებულობსო“. რა უყოთ, რომ თქვენ პარტიის არ სწყენია არჩევნების წესის ანბანი! „განა გასაკვირია, რომ ბ ნმა მურვანიშვილმა და ძმათა მათმა (ასეთივე მაგალითები განმეორდა ქემფერში და სხვაგან ჩვენი წარმომადგენლები არსად ყუთთან არ დაუშვეს.) სამართლიანობას და პუბლიკრიტებას ფალალატონ? ეს ხომ მათი პროფესიაო?“ ტყუილია: ფედერალისტების, ისე როგორც სხვების, წარმომადგენელი ყოველგან იყვნენ დაშვებულნი ყუთთან, თუ კი ისინი აკმაყოფილებენ დებულების და ცენტრალურ კომისიის მოთხოვნებს. სურამში ისინი თანახმად ზემოხსენებულისა, ყველა ყუთთან იყვნენ, გარდა ქემფერისა, სადაც გამოცხადდა ბარამიძისთანა უწლოვანი. არავითარ ძალმომრეობას არსად ადგილი არ ჰქონია. ის გარემოება, რომ თქვენ ოძისში არ დაგიშვეს ყუთთან და გიორგი ნაკაშიძე კი, ბაშკარავებს თქვენს სიცრუეს, განა ნაკაშიძე სოციალ-ფედერალისტი არ იყო?

რაც შეეხება თქვენს „ზნეობრივ გამარჯვებას“, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ საცა სოც.-დემოკრატებმა იმუშავეს, არსად თქვენ არ გაგიმარჯვნიათ: ქალაქ სურამში და მახლობელ სოფლებში თქვენ, მიუხედავათ იმისა, რომ სურამი ფედერალისტების ბუდე იყო ამ ორი წლის წინად, მიიღეთ მხოლოდ ჩვიდმეტი ხმა. თქვენს შემდეგ გამოჩეკილმა ეროვნულდემოკრატიულ პარტიამ ახ ექვსი ხმა მიიღო. ჩვენ კი მივიღეთ ათასი ხმა. ასეთია სინამდვილე და არა ის, რომ „ხალხი მტერ მოყვარეს ცნობილობს“ და თქვენ გიმტრობა. ხალხი დიდი ხანია იცნობს თავის მტერ მ ყვარეს—ეს მან ნათლად დაამტკიცა არა ერთხელ, მაგრამ ისეთ სოფლებში, როგორც ოძისი და ზოგიერთი სხვებია, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა ჩვენდა დაუხმარებლად, ამის მიზეზია, რომ ზოგიერთ ჩამორჩენილ სოფლებში კიდევ გერგოთ თქვენ „საკენკათ“ „ცოტა რამ საწიწკარა“. ჩვენ დანაშაულს ოძისელებისადმი ჩვენ ვგრძნობთ და ვეცდებით მომავალში ის გავასწოროთ. სარდ. მამალაძე.

ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲓᲘᲚᲘᲯᲐᲜᲘ. 3 მარტს შესდგა ამ საზოგადოების მცხოვრებთა კრება, რომელზედაც სოც.-დემ. ორგანიზაციის სახელით საერთო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამბ. ა. ე—ძემ. მოხსენებული შეეხო საერთაშორისო საბავშვო კონფერენციას, მის გარშემო დაწყებულ მოძრაობას და შემდეგ საქ. რესპუბლიკის მდგომარეობას და დამფუძნებელ კრებას. დაბოლოს მომ—ლმა მიუთითა კრებას მასზე თუ რა მოვალეობები გვაწევს და მოუწოდა ენერგიული მუშაობისაკენ.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება მომრიგებელი სასამართლოების დაარსების შესახებ და დადგინა სთხოვოს ერობას, ერთი ასეთი დაწესებულება დაარსდეს სოფ. დილიკოურში.

შემდეგ კრებამ გაარჩია სკოლის საკითხი. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხს აქვს თავისი ისტორია. ცნობილია რომ სოფლებს საზოგადოთ ყავს ერთგვარი ხალხი, რომელნიც ცდილობენ ყველაფერი თავის სახლის გვერდში აიშენონ. ამით შეაქვთ ირეკ დარეკა და ხშირად ლუპავენ საერთო საქმეს. აი ასეთი „მოღვაწენი“ ჩვენც გვარგუნა ბედმა და ამიტომ ვერ ვეღირსეთ სკოლის აშენებას. ერთხელ თუმცაღა ავაშენეთ მშვენიერი შენობა, მაგრამ დაგვიწვა ვიღაცამ.

კრებამ დიდი უმეტესობით დაადგინა ალაგად ალაგას შესაფერისი შენობა, რისთვისაც აირჩია ამაშენებელი კომისია. „უბნისტები“ მოითხოვდნენ ორი სკოლის აგებას, ქვედა და ზედა დილიკოურში, ასეთები იყვნენ სულ 5—6 კაცი.

ამ ბოლოს დროს წამოყვეს თავი ქურდ-ბაცაცებმა და ბევრ სისაძაგლეს სჩადიან. გაქურდეს მღვდ. ს. ჭიპაშვილი და წაიღეს რაც კი მოხვდათ ხელში.

რამდენიმე დღის წინათ გაქურდეს ალექსი და გიორგი დეკეძეების ქვრივები, წაიღეს მთელი მოსავალი სიმინდი, წაიყვანეს ღორები და სხვა. ერთი სიტყვით აუტანელ მდგომარეობაში